

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა

26 თებერვალი 2007 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, არაყიშვილისი I ჩიხი №9

სხდომის დაწყების დრო: 19:10სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი,
რუსუდან პიტავა. როინ მიგრიაული

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე - 1 საშტატო ერთეული, ასოციაციის ჟურნალის “პროფესია ადვოკატი” გამოსაცემად აუცილებელი საშტატო ერთეულები);
2. 2006 წლის საწევროს გადაუხდელობისათვის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
3. ასოციაციის სასწავლო ცენტრის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;
4. აღმასრულებელ საბჭოში ფუნქციების გადანაწილების მექანიზმის შესაბამისად გაწეული საქმიანობის ანალიზი;
5. ეთიკის კომისიის წინადადების, ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ, დამატებითი განხილვა;
6. სხვადასხვა

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა დღის წესრიგის პირველი საკითხით გახსნა თავმჯდომარემ. იგი განმარტებით, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მოითხოვა ეთიკის კომისიის აპარატს დამატებოდა ერთი თანამშრომელი, რასაც დაეთანხმა ასოციაციის თავმჯდომარე და გამოთქვა მოსაზრება, რომ საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილება და დაემატოს სულ სამი საშტატო ერთეული, რომელთაგან ორი საშტატო ერთეულის აუცილებლობა დაასაბუთა ასოციაციის ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებული საჭიროებით, ხოლო ერთი – ეთიკის კომისიის მოთხოვნით.

2006 წლის საწევრო შენატანის გადაუხდელობის საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგ სხდომისთვის, რადგან საბჭოს წევრმა ქალბატონმა რუსუდან პიტავამ აღნიშნა, რომ სასურველი იქნება თუ ამ ეტაპზე, საბჭო თავს შეიკავებს წევრთა გარიცხვისგან, რადგან ჯერ დასადგენია ის მიზეზი თუ რატომ არ იხდიან საწევროს.

ასოციაციის სასწავლო ცენტრის ექსპერტთა სავარაუდო კანდიდატების სხდომაზე წარმოდგენილი სია შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგის მეექვსე პუნქტში მოხდა ორი საკითხის განხილვა. გაწევრიანებულ პირთა უფლებამოსილების ცნობა და ადვოკატის დღის დამკვიდრება.

საბჭოს წევრის, ბატონი როინ მიგრიაულის ინიციატივით ადვოკატის დღედ განისაზღვრა 26 თებერვალი, ვინაიდან 2005 წლის 26 თებერვალს გაიხსნა ასოციაციის დამფუძნებელი საერთო კრება.

გ ა დ წ ყ დ ა:

1. დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში გათვალისწინებული ცვლილება, კერძოდ, ეთიკის კომისიის აპარატში ერთი საშტატო ერთეულის დამატება, ხოლო ასოციაციის ჟურნალისთვის ორი საშტატო ერთეულის დამატება;
2. ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა უფლებამოსილების შეწვევების საკითხის განხილვა გადაიდო 2007 წლის 11 მაისისთვის. ასოციაციის აპარატს დაევალა საწევროს გადაუხდელობის მიზეზის დაზუსტება. დადგინდა, რომ ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში წევრებს განემარტოს აღმასრულებელი საბჭოსთვის განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა;
3. ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრებს დაევალა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობაში ჩართვა;
4. ასოციაციის სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი საბჭოს წევრების მუშაობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად.
5. ასოციაციის ცხელი ხაზით უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფორმაციის განთავსება ასოციაციის ვებ-გვერდზე, აგრეთვე, ხელმისაწვდომ მედიასაშუალებელში. აგრეთვე, რეაგირების ჯგუფის შექმნა აღმასრულებელი საბჭოს წევრებისა და ასოციაციის სხვა წევრებისგან.

6. დადასტურდა იმ პირთა უფლებამოსილება, რომლებიც ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ გაწევრიანდნენ გამარტივებული წესით.

ადვოკატის დღე – 26 თებერვალი.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

კ. ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზ. ტაბიძე, დ. ასათიანი, რ. პიტავა.
რ. მიგრიაული.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

კახაბერ ასლანიშვილი
ასოციაციის თავმჯდომარე